# ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 17 მარტი № 1412

ფასი დიდს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო...ბაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**


14 მარტს ქ. ტფილისში გარდაიცვალა რუსის მწერალი

## ივანე ივანეს ძე სვედენცოვი

(ივანოვიჩი)

განსვენებულის გვამს შაბათს, 17 მარტს, დილის 10 საათზე, გამოასვენებენ თავის ...ადგომიდან (ალექსანდროვის ქ., № (18) კუკიის სასაფლაოზე. (...)


## განცხადება.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ „ივერიამ“ ...ლსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება, ...ამერიკა იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.
...თანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და ამის გამო გამოსცეს

**დამატებითი პაიები, თითო პაი ას (100) მანეთად დირებული.**

...გენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მიმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:
Въ гор. Баку, Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „Иверія“, по Меркурьевской ул., въ домѣ Арафелова.

**ამავე ადრესით უნდა გამოგზავნოს ფული.**

გამგენი ამხანაგობისა სამთო ინჟინერნი { თ. ი. ი. დადიანი. თ. დ. გ. ჯორჯაძე. ზ. ვ. ჭრელიძე (?). }

(...0—6—4)

## ქართული თეატრი

შაბათს, 17 მარტს

უკანასკნელი ვასტროლი ქუთაისის დრამატიული დასისა ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და გამგებლობით წარმოდგენილი იქნება

## ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

...დგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი 8½ საათზე.

...ანც-მოორის როლს შეასრულებს ვ. მესხიშვილი, ამალიას—ნ. ჩხეიძისა, კარლოს—თუთბერიძე და პასტორის—გ. შელავანოვი (2—2)

## საუკეთესო აჭარეშუმის ჭიის თესლი

მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნაკაშიძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ზომიერია. (15—5)

ქართული თეატრი
კვირას, 18 მარტს 1901 წ.
მომღერალ არტისტის ფილ. ქორიძის მიერ გამართული იქნება

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი ქალი ეკა. გ. სარაჯიშვილი, ფორტეპიანოზე დამკვრელი ქალი ეკ. გ. სარაჯიშვილი; არტისტი მომღერალი ი. გ. კარგარეთელი. ახლად შედგენილი ქორიძის მიერ ქართული ქორო და თვითონ ქორიძე. იმღერებენ ნოტებზე გადაღებულს ქართლ-კახურს, იმერულს, გურულს და მეგრულს სიმღერებს.

კონცერტიდან შემოსული ფული მოხმარდება ქართულის მუსიკის ბეჭდვის და დაარსების საქმეს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8½ საათ. საღამოს. (3—2)


## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 მარტი

**პეტერბურგი.** აქ არიგებენ ე. ვ. ბოგდანოვიჩის უფასო გამოცემას „რუსეთი მორეულს აღმოსავლეთში“, რომელიც ავტორს უძღვნია ქრისტეს მოყვარე მხედრობისა და წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის. გამოცემაში ჩართულია ხელოვნურად აღსრულებული პორტრეტები ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე დედოფლებისა, დიდის მთავრინასი ელისაბედ თეოდორეს ასულისა და ოლდენბურგის პრინცესსასი. წიგნში ცოცხლად არის აწერილი შორეულ აღმოსავლეთში უკანასკნელ წელიწადს მომხდარი ამბები და წითელი ჯვრის საზოგადოების მოღვაწეობა იქ.

**ნოვგოროდი.** გაზაფხულის დღეები შეცვალა ყინვებით; მოდის თოვლი და დიდი ქარ-ბუქია.

**რიგა.** 20 თებერვლიდან 14 მარტამდე გემმა „ერმაკმა“ გაიყვანა გაყინულ ნავთსადგურიდან ზღვაში 10 გემი, ხოლო შემოიყვანა ნავთსადგურში 21 გემი.

**ნიუ-იორკი.** ფილიპინელების სარდალი აგვინალდო ტყვედ ჩაუვარდა ხელში ამერიკელთ. ლოპეცმა უთხრა ერთს ჟურნალისტს, რომ ამის მიზეზით ომი არ დასრულდება და სხვა სარდლები განაგრძობენ ბრძოლასა.

**იოკაჰამა.** პირველმა მინისტრმა იტომ წარმოსთქვა სიტყვა პოლიტიკის შესახებ. „იაპონიამ,—სთქვა მან,—მოიპოვა ახლა ისეთი გავლენა, რომ დამოუკიდებლად შეუძლიან დაიცვას თავისი ინტერესები და ესა თუ ის საპოლიტიკო საქმე დაიწყოს თავის მიხედვითა და სურვილით“.

**პეკინი.** ფრანკებს განზრახვა აქვთ გაიყვანონ რკინის გზა კალგანისაკენ, როგორც პირველი ნაწილი მონგოლიის გზისა, ბაიკალის ტბისაკენ. ამ კვირაში ფრანგებსა და ჩინელებს შუა, ალბად, შეტაკება მოხდება ხეაილუსთან. ლიხუნგჩანგმა უბრძანა იქაურს ჩინელ გენერალს წავიდეს ჩჟილის პროვინციიდან, მაგრამ გენერალმა უპასუხა, რომ აასრულებს ამ ბრძანებას მხოლოდ მაშინ, როდესაც განდევნის უცხოელებს ხსენებულ პროვინციებიდან. ბალიუ წავიდა დღეს პეკინიდან; მას ნება მიეცა შეებრძოლოს ჩინელთ, თუ ესენი თავს დაესხმიან ფრანგების ჯარს. ფრანგების ჯარი ხეაილუში 1500 კაცისაგან შესდგება, ჩინელებისა-კი, როგორც ამბობენ, 25 ათას კაცისაგან. გამარჯვება ხელში ჩაუგდებს ფრანგებს შანსისკენ მიმავალ უმთავრეს გზას; ეს გზა სჯობია იმას, რომელიც წინად ჩაიგდეს ხელში გერმანელებმა. შანსის გუბერნატორი ხეილიანი, რომელიც ევროპიელების მტრად ითვლება, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან; ახალი გუბერნატორი უფრო მშვიდობიანობის მომხრეა, და, შესაძლებელია, საქმე შეტაკებამდე არ მიიყვანოს.

**პეკინი.** ხმა არის, რომ გერმანელები და ფრანგები მომავალ თვეში წაიყვანენ ჩინეთიდან თავიანთ ჯარების უმეტეს ნაწილს; მაგრამ ის-კი ნამდვილია, რომ არც გერმანია და არც საფრანგეთი არ შეასუსტებენ

## ფელეტონი

### თავის სახლის დაწვა.

(კატულ მენდესი)

...ლი იწვის და ინგრევა! გაავეთრებულ ...ლის ალი სატრფოსავით ჩაჰკონებია ...ს გულ-მკერდში, მკლავები შემოუხვევია უკანასკნელად ლოშნის, ბოლოს ...ოს საუკუნოდ. პატრონი ძლივს გაჩინეს!

რას ამბობს პატრონი: დიაღ, მე ...ნ გავუჩინე ცეცხლი ჩემს სახლს და ...ვთ, შეიტყოთ, რატომ? ინებეთ და ...ინეთ!

...ოცრება იყო ჩემი აღზრდა, მაგრამ ...უფრო მეტად გასაოცრები იყვნენ ჩემი ...დელები. ყველაფერს, რაც გარშემო ...ყა, ერთობ გამხრწნელი, სულით დამამ...ებელი და გამრყვნელი გავლენა ჰქონ...მზე. ამ სფერამ, წრემ სულ შესცვალა ...არსება: ბუნებით მკვირცხლი, მოცი... და უზრუნველი მე გადავიქეცი რაღაც ...ელ ქმნილებად: გავხდი წარბ-შეკრუ...პირქუში, მოუხეშავი; ვლაპარაკობდი ...ს და ყველას ვემალებოდი; გული შემეკრა, დაიხურა ყველასთვის. მე მუდამ მარტოობაზე ვფიქრობდი. შინაც და სასწავლებელშიაც შორს გავურბოდი ადამიანის თვალს. დამეხურა მთელი შინაგანი ბუნება, შემეკუმშა გული და სული არ მახსოვს სიყმაწვილის სიტკბოება, მშობლის ალერსი, სიყვარული, მეგობრობა! ვთვლიდი ყოველ წამს, როდის იქნება, დაღამდეს, დედ-მამას მალე გამოვეთხოვო და დასაწოლად წავიდე-მეთქი, ისე ვეჩქარებოდი, მომეცილებინა თავიდან ჩემთვის ეს საშინელი ცერემონია. ამიტომაც დაჩაგრულად და გაუბედავად მთვლიდნენ ჩემი პატრონები, თუმცა კი იმედი მაინც ჰქონდათ: გაიზრდება, ყველა ეს ნაკლი თავის დროზე გაჰქრება და კაცი დადგებაო. ისინი კი ასე ჰფიქრობდნენ, მაგრამ მე კი სულ სხვა გვარად ვსჯიდი. გაუბედაობის შესახებ ნურას უკაცრავად, მე სრულიად არ გახლდით ასეთი: გაუბედავი კი არა, დედამიწაზედაც კი არავისი არ მეშინოდა. მე მხოლოდ მაფიქრებდა და მაშინებდა ჩემი თავი.

თავდაპირველად ერთობ ვუწყრებოდი, ვემდუროდი და მზად ვიყავი შევბრძოლებოდი კიდეც იმ გარემოებას, რომელმაც ასეთ საძაგელ ჰაობში ჩამაგდო, მაგრამ ბოლოს, როგორც სხვები, მეც ისე შევეჩვიე ტანჯვას, და ყოველივე ჩემი გულისწყრომა გაქრა. ახლა, რასაკვირველია, ისე აღარ ვუჩივი ბედს, როგორც წინეთ, და ვემორჩილები კიდეც ამ ყველასათვის აუცდენელ „გარემოებას“, თუმცა კი მაინც მიკვირს, როგორ მოვიხარე ქედი მის წინ! იქნება, ვისმესგან დაწყევლილი ვარ და ეს წყევლა მძიმე ტვირთად მაწევს კისერზე?! იქნება ჩემის რომელიმე საშინელ ცოდვილ წინაპრის სისხლი სჩქეფს ჩემს ძარღვებში, იმ წინაპრის, რომელსაც თავის დროს ვერ მოუხდია ვალი შემოქმედის წინ და ისე გამგზავრებულა საიქიოს?! არა!.. მე ხშირად ჩამომიგდია ლაპარაკი მამასთან ჩვენ წინაპრებზე და საზოგადოდ წარსულზე, მაგრამ, თურმე, ყველა ჩემი წინაპარი, როგორც აღმოჩნდა, პატიოსანი და მშვიდი პურეულა ყოფილა და ამ მხრით არაფრით არ განირჩეოდნენ სხვებისგან. ეს ასეა, მაგრამ მაინც მე კი თავიდანვე დამყვა რაღაც იდუმალი, უკუღმართი, ან უკეთ ვსთქვათ, ინსტიკტიური ძალა, რომელიც სულ თავისკენ მიწვევს სალალატოდ, საქურდლად, სისხლის საღვრელად! არასოდეს არ დამავიწყდება ის საშინელი შური, რომელიც აღძრა ჩემში სახარებამ, როცა, კითხვის დროს, მივატანეთ იმ ადაგს, სადაც სწერია, თუ როგორ გასცა მაცხოვარი იუდამ. ისე ავღელდი იმ დროს, ისე დავკარგე სასწორი, რომ, ჩემდა უნებურად, დავიყვირე: „მეც იუდა ვარ-მეთქი“!.. ეგ—რა?! არ შემეძლო ქალის ტანზე სამკაული შემენიშნა და თრთოლაში არ მოვსულვიყავი! რადა? მინდოდა, რამენაირად ჩამომეგლიჯა, წამერთმია და სადმე მიმემალა!! საკვირველია!.. ეს ჩემი საოცარი მოქმედება ანგარების სიყვარული კი არ იყო და არც ოქროს ბრწყინვალება მიწვევდა, როგორც სხვებს,—არა: მე სიამოვნებას თვით ქურდობაში ვეძებდი და მით ვიყავი კმაყოფილი.

რამდენიმე დღის განმავლობაში თავში ერთი რამ საძაგელი და საზიზღარი აზრი მიტრიალებდა: მინდოდა, ბრმა გლახაკისათვის ყუთიდან ფული მომეპარა!..

ჩემს დას ჰყავდა გვრიტები. განსაკუთრებით უყვარდა ორი მათგანი. როდესაც ეს ორი უმანკო არსება ქანდარაზე გადმოჯდებოდნენ და ღუღუნს მორთავდნენ, გულს ია-ვარდი მოგეფინებოდა. აი, ამ უმანკო ჩიტუნიებსაც კი ბრჭყალებ გაშლილ კატასავით ვუდარაჯებდი, ხელში მეგდო და მათთვის სიცოცხლე მომესწრაფა! მთელი დღე თვალებს არ ვაშორებდი და სულ იმის

თავიანთ ჯარებს პოტინფუში, სადაც მათ საზაფხულო ბანაკები აქვთ ჯარებისათვის გამართული

**ბელგრადი.** უკვე რამდენიმე დღეა მეფეს თათბირი აქვს ყველა პარტიების წარმომადგენლებთან; როგორც სჩანს, თათბირი შეეხება კონსტიტუციის ზოგიერთ ცვლილებას. ბელგრადის სარწმუნო სფერებში შესაძლებლად სთვლიან, რომ მალე პალატას წარედგინება პროექტი სენატის დაარსების შესახებ, რომელიც 50 წევრისაგან იქნება შემდგარი; ამათგან ზოგს მეფე დაჰნიშნავს, ზოგი არჩეული იქნება, ზოგიც თავის თანამდებობის მიხედვით დაინიშნება სენატორად.

**ლ ნდონი** როგორც „რეიტერის სააგენტოს“ გაუგონია, ტიანძინში მომხდარ უთანხმოებაში, რუსეთსა და ინგლისის შორის, ვალდერზეემ მხოლოდ სამხედრო მხარეს მიაქცია ყურადღება. მას შემდეგ, როდესაც ორივე მხარემ თავიანთ ჯარები წაიყვანეს საცილობელი ადგილიდან, საქმე გადაეცა ორივე სახელმწიფოს დიპლომატებს. ვალდერზეეს უფლება არა ჰქონდა ამ საქმეში გარეულიყო. საბოლოო გარდაწყვეტილება ამ საქმეში არ მ ადება, რადგანაც უნდა განხილულ იქმნა ს სხვა-და-სხვა საბუთები და უნდა ეკითხოს ადგილობრივ მმართველებს.

**ვაშინგტონი.** შეერთ ებულმა შტატებმა უარი სთქვეს გამოაცხად ონ პროტესტი იმის გამო, რომ რუსეთი ანჯურიას იპყრობს, მიუხედავად სხვა სახ ელმწიფოების გაფრთხილებისა, რომ მან ჯურიის დაპყრობა გამოიწვე ს ჩინეთის გ ყოფას. შტატების ესეთი გადაწყვეტილებ ა უკვე შეატყობინეს ჩინეთის ელჩს ვუ ტანფანს.

**ვაშინგტ ნი.** დიპლომატიური წრეები მოელიან, რომ მანჯურიის შესახებ შეთანხმება დღ ეს ან ხვალ იქნება ხელმოწერილი, რ დგანაც მის წინააღმდეგ წარმოდგენილ ასაზრებანი ს ყურადღებონი არ არიან და რას დაუშლიან შეთანხმების დამტკიცე ას.

**პეკინი.** რუსეთის ელჩმა უკანვე დაუბრუნა ჩინეთის მთავრობას დეპეშა, რომელშიაც ახალი წინადადებანი იყო წარმოდგენილი მანჯურიის შეთანხმების შესახებ. ელჩმა გადაჭრით გამოუცხადა ჩინეთს, რომ არ შეუ ლიან მიიღოს ახალი წინადადებანი და მასთანავე მწუხარება გამოსთქვა, რომ ასე ბრკოლდება ხელშეკრულობის დამტკიცება. ლიხუნ-ჩანგი კიდევ ურჩევს თავის მთავრობას მალე გაათავოს ეს საქმე.

**ვაშინგტონი.** შეერთებული შტატების მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა დამოქნების დირექტორის ბრაუნის სამსახურიდან დათხოვნის გამო, რადგანაც ეს დათხოვნა სავაჭრო ინტერესებს ავნებსო.

**დურბანი.** იტყობინებიან, რომ დევეტი 400 კაცით გადვიდა ტრანსვაალის საზღვარზე სტანდერტონიდან 35 მილის სიშორეზე.

(იხილე საღამოს დეპეშები მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ თუმცა პოლონელები პრუსიაში მეტად არიან შევიწროებულები, სამაგიეროდ ავსტრიაში უხვად არიან დაჯილდოვებულები ბედისაგან:

ვენიდან იუწყებიან, რომ ფინანსთა, გაჭრობის, მიწად მოქმედების და შინაგან საქმეთა სამინისტროებში ამ მოკლე ხანში ბევრი პოლონელი დაინიშნება მაღალ თანამდებობაზეო. მიწად მოქმედების სამინისტროში დაწესდება ცალკე განყოფილება პოლონელთა საქმეებისათვის და ამ განყოფილების უფროსად დაინიშნება პოლონელი; შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაწესებულ იქნება სამრეწველო დეპარტამენტი, რომლის დირექტორად ეგრეთვე პოლონელი დაინიშნებაო.

✿ პოლონელი სოციალისტი ბრეიტერი შეეკითხა ავსტრიის სამინისტროს შემდეგი საგნის შესახებ. ამას წინად პოლონელების კლუბის მეთაურს იავორსკის იმპერატორმა ავსტრიის უმაღლესი ორდენი უბოძა. ამას გარდა ხმები გავრცელდა, რომ ამავე იავორსკის დიდი ვალი ეპატია, რომელიც პოლონელის კლუბის მეთაურს სახელმწიფოსი ემართაო და რომ იმას დიდი ფული ეძლევა იმპერატორის საკუთარის თანხიდანაო.

✿ ავსტრიის პარლამენტში კიდევ ერთხელ მოხდა ისეთი შფოთიანი სხდომა, რომელმაც ყველას გაახსენა ობსტრუქციის დროის სხდომები. ეს სხდომა ცხრა საათ ნახევარი გაგრძელებულა და მხოლოდ ღამის 2 საათზე გათავებულა. მღვდლოჩეხებმა წინადადება შეიტანეს იმის შესახებ, რომ მთავრობა ხალხის საყოველთაო აწერის დროს ჩეხიაში მიდგომით იქცეოდა და ბევრი ჩეხი გერმანელად დასწერაო. ჩეხებმა მოითხოვეს, რომ ეს წინადადება დაუყოვნებლივ განეხილა პარლამენტს. გერმანელები და ჩეხები ერთმანეთს მეტად მწარე მწარე სიტყვებს უძღვნიდნენ; ხან-და-ხან საზოგადო შფოთი და ხმაურობა ასტყდებოდა ხოლმე ბოლოს და ბოლოს პარლამენტმა უარჰყო მღვდლოჩეხების წინადადება ყველა დეპუტატების ხმების უმეტესობით წინააღმდეგ ჩეხებისა და სამხრეთ-სლავიანების ხმებისა.

✿ ისპანიაში საზოგადოება მეტად გულსმოდგინეთ იბრძვის კლერიკალების წინააღმდეგ. მთავრობამაც კი ყურადღება მიაქცია საზოგადოების ლტოლვილებას. საერო განათლების მინისტრმა გრაფ. რამანონესმა ბძანება გამოსცა, რომლის ძალით ამას იქით გიმნაზიებში სამღთო ისტორიის სწავლება სავალდებულო აღარ იქნება. ამავე მინისტრის მეორე ბძანების ძალით უნივერსიტეტებში აღდგენილ იქნება სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება, სამხედრო მინისტრმა გენერალმა ვეილერმაც ბძანება გამოსცა და გააუქმა პოლკებში სამხედრო მქადაგებლების თანამდებობა. მინისტრის საბჭოს სხდომაზე აზრი გამოუთქვავთ, რომ დრო არის საზღვარი დაუდოთ კლერიკალების მისწრაფებათაო. სხვათა შორის მინისტ ების საბჭომ დაადგინა შენიშვნა მისცეს სევილიის არქიეპისკოპოსს, რომელმაც თავის მრევლს აუკრძალა ანტიკლერიკალური პიესის წარმოდგენაზე დასწრება. საზოგადოება მაინც კიდე არა სცხრება და ხიადაგ პროტესტს აცხადებს კლერიკალების წინააღმდეგ. ასე, ვილანცევოში ერთმა მღვდელმა სიტყვა წარმოსთქვა ამას წინად გარდაცვალებული ლიბერალი ვიქტორ ბალაგერის წინააღმდეგ; ხალხს მეტად გული მოუვიდა ამაზე, 7000-ზე მეტი კაცი შეიყარა და კლერიკარებს მტრული მანიფესტაცია გაუმართა.

✿ ბოტას უარმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებზე. მთავრობის განცხადება ამ საგნის შესახებ დეპუტატთა პალატამ სამარებრივის სიჩუმით მიიღო. არავინ არა ჰმალავს, რომ ყველას გაუცრუვ ათ ამ ომის დასრულების იმედები. აი რას ამბობს ამის შესახებ ფრანგ გაზ. «ტან»-ის ლონდონელი კორესპონდენტი: «ეს სრული დამარცხებაა. ჯერ კიდევ შარშან სამინისტროს მომხრე დასი ამტკიცებდა, რომ ბოტა არ არის სხვებივით შეურიგებელიო, რადგანაც ინტერესები აქვს ოქროს მრეწველობაშიო და ამიტომ იმას ზავის ჩამოგდებაც კი უნდაო. ეხლა გამოაშკარავდა, თუ რა ცილის წამებით, რა სიცრუვით უხვევდნენ თვალებს ხალხსა და ცდილობდნენ, რომ ამით საზოგადოება გაემხნევებინათ. უნდა ძალა-უნებურად ვაღიაროთ, რომ როგორც წინად, ისე ეხლაც ბურების ცნობები უფრო სწორე და უტყუარი ყოფილა, სანამ ინგლისელებისა. აი დეპეშა, რომელიც «პარი-ნუველ»-მა მიიღო გაჰაგიდან: «აქ იცოდნენ, რომ ზავზე მოლაპარაკება არაფრით არ გათავდებოდა, რადგანაც კიტჩენერი ჰპირდებოდათ ამნისტიას (პატიებას), ფერმების აშენებას (რასაკვირველია, ახალშენების ხარჯითვე), თვით ავტონომიასაც,—ერთის სიტყვით ყველაფერს გარდა დამოუკიდებლობისა; ხოლო უკანასკნელი ცნობების მიხედვით, რომლებიც კრიუგერმა მიიღო, ამ საგნის (დამოუკიდებლობის) შესახებ ბოტა, დევეტი, დელარეი, შალკ-ბურგერი და შტეინი შეურყეველნი არიან. ინგლისის ჯარის მდგომარეობა მეტად ცუდია; ეგ არის მხოლოდ, რომ სამხედრო სამინისტრო არ აცხადებს ამ ამბავს. ამ ბოლოს დროს გაგზავნილი შაშველი ჯარები მოკლულთა, დაჭრილთა და ავადმყოფების რიცხვსაც კი ვერ დაჰფარავენ. შავი ჭირი ნატალშიაც კი გაჩნდა და ლორდ კიტჩენერი ეხლა იმას და ცდილობს, რომ პრეტორიაში მყოფი ჯარი მაინც გაადარჩინოს ამ ულმობელ სენსაო».

✿ ამავე საგნის შესახებ ინგლ. ლიბ ... გაზ. «დეილი ნიუს»-მა ... საყურადღებ...
გამოსთქვა:
«ყველა ამ ... ომის ... რომელებით...
ხრდ აფერის ... სამხედრო ... ... ...
და შეაქცევდა საზოგადოებას, უნდა დავ...
ის სიცრუე, ვითომც ბოტამ თითონ მო...
დამორჩილებაო. ჩემბერლენის განცხადებ...
რად გაგვაგებინა, რომ ზავზე მოლაპ...
ითავა და პირველმა დაიწყო კიტჩენერმა...
ბოტამ მხოლოდ უარ-ჰყო ეს მოლაპარაკებ...
ვის ყოველ მომხრეს შეუძლიან, რასაკვირ...
სინანული გამოთქვას მის შესახებ, რომ ბ...
სარდალმა ამნაირი გადაწყვეტილება მიიღ...
რამ არავის არა აქვს ება გაჰკიცხოს...
რადგანაც ეს კეთილშობილი ხალხი,—
და პატრიოტი,—ვაჟკაცურად იბრძვის...
სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაც...
ყველა ინგლისელებიც ამნაირადვე მოიქ...
გარდა ჩვენი ბრიყვი პატრიოტებისა. ხო...
რებს კი მოურიდებლად და მტკრად გ...
დეს, რომ ამ დამოუკიდებლობას წაგართ...

✿ ვენის გაზ. «ვინერ ტაგებლატ»-ს ატ...
ბენ ლონდონიდან: «როგორც სარწმუნო...
ბებიდან სჩანს, ბოტამ უკვე მაბათს გ...
სამხედრო მოქმედება და ერთი მნიშვნ...
სიმაგრეც დაიჭირა; ეს სიმაგრე მდებ...
პრეტორიიდან დელაგოაში მიმავალ რკინი...
ზე. კიტჩენერმაც თავის მხრივ განაცხად...
იმის ჯარებს ამ ჟამად არ შეუძლიანთ ...
რო მოქმედების დაწყება და ბეჯითად ...
ლობს, რომ დაუყოვნებლივ ჯარები მიაშ...
ლონდონში საზოგადოება მეტად შეწუხებ...

✿ ინგლ. გაზეთ «მორნინგ ლიდერ»-ის კო...
რესპონდენტი ამტკიცებს, რომ ბოტამ ...
შემოუთვალა უარი კიტჩენერისათ, რადგან...
ლისის რწმუნებულებმა უარჰყვეს შემდეგ...
რობებით: 1) რესპუბლიკების სრული ა...
მია; 2) კაპის ახალშენის აჯანყებული ...
რებლების ამნისტია; 3) ბურების რესპუ...
უნდა მისცემოდათ ნება ყველა სახელმწიფ...
პირდაპირი დიპლომატიური ურთი-ერთო...
ნოდათ.

## ახალი ამბავი

✦ ტფილისში ჩამოვიდა უმაღლ...
სახლის საგოფმარშალო ნაწილის ...
გენ.-მაიორი მ. მ. ანიჩკოვი

✦ გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ...
გუბერნიასა და ყარსის ოლქში მოგზ...
ბის შემდეგ კავკასიის მთავარ-მართ...
თანაშემწე გენერალ ლეიტენანტი ...
ფრეზე.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნ...
ზოგადოების საბჭომ დაადგინა შ...
სწავლა ტფილისის საბაღოსნო ს...
და მიენდოს საგანგებო კომისიას შ...

---

ფიქრში ვიყავი, როდის იქნება, ტვინი კედელზე მივასხმევინო-მეთქი. როცა ამას გავიფიქრებდი, მთელ ტანში რაღაც სიამოვნების ჟრუანტელი დამივლიდა, თითქო ეს არის, ეხლა გამოვჭერ ყელი და იქიდან ამოხეთქილ ცხელ სისხლის მორევის ცქერით ვსტკბები-მეთქი! საბედნიეროდ—იქნება საბედუროდაც—ვინ იცის, მაგრამ განა არ შეიძლებოდა, ყველა ეს ჩემი საშინელი ფანტასტიური სურვილი სისრულეში მომეყვანა?! საბედნიეროდ, ერთობ ფხიზელი და მეტად განვითარებული სინიდისი და სირცხვილი მიჭერდა, ამ განსაცდელში არ ჩავვარდნილვიყავი... ერთ და იმავე დროს მე საოცარი დამნაშავეც ვიყავი და მასთან—სავსებით უმანკოც. მართალია, მუდამ საზარელ და გარყვნილ ინსტიკტებით ვიყავი გარემოცული, იმ ინსტიკტებით, რომელნიც მეტად მტანჯავდნენ, სასწორს მაკარგვინებდნენ და მატოკებდნენ, ფეხი გადამედგა მათკენ, მაგრამ მაინც მთელს ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც ცუდი არაფერი არ ჩამიდენია. რომ იცოდეთ, რა ფასად მიჯდებოდა ეს გამარჯვება?!..

საძაგლად და საზიზღრად მეჩვენებოდა ჩემი თავი, როცა ერთ წამს მოლმობიერებული ზეციერ ძალთაგან—ისევ ელვასავით ვიფეთქდი, რაღაც მანქანების ძალით, და თვალწინ ამემართებოდა ბოროტებისკენ მიმზიდველი სულის მქენჯნავი და ალმაშფოთებელი სატანა! ძნელია, თითქმის შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა საშინელი და საოცარი ძრწოლა ამივარდებოდა, როდესაც წარმოვიდგენდი, რომ, ვითომ, ამ უხილავმა ბელზებულმა დამამარცხა კიდეც!.. ამ ჰალუცინაციის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, განუწყვეტლად მელანდებოდა,—ვხედავდი კიდეც—მომავალში კატორგას, სახრჩობელას და სხვას მისთანას! ამიტომაც, რომ საზარელი და საზიზღარი რამ არ ჩამედინა, ხშირად დავემწყვდეოდი ხოლმე სახლში მთელი დღეები. როცა წამოვიზარდე, მოვისვენე ცოტათი სულით: ცხოვრებამ და მისმა ჩვეულებრივმა თავისუფალ გატაცებულობამ, წამიერმა კავშირმა და სიტკბოებამ, მეგობრობამ და სიყვარულმა თავის მორევისკენ გამაქანეს! იმ ხანაში მე შემეძლო მეთქვა: „მეც ისეთი ვარ როგორც სხვა“. ეხლა კი თამამად შემიძლიან ხმა-მაღლა ალვიარო, რომ ყველას, უბედურად დატოვებულს, სამუდამოდ დავიწყებულს და ჟამთა სიავისაგან დამარხულს და დაჩაგრულს ადამიანს ვუთხრა, მზად ვარ საფლავამდი გეძებო-მეთქი.

ერთხელ შვენიერ არსებასთან მეძინა. უეცრად, გამომეღვიძა, თითქო ვისმე ხელი ეკრას. წამოვჯექ და რა დავინახე?! ჩემს მეგობარს სძინავს; მისი ანდამატის თვითეული ბაგე ალისფრად იყო ანთებული, თითქო იწვისო. მიმქრალი, მინაზებული ბროლის გულ-მკერდი ოდნავ გადაღელოდა და საოცნებო ნეტარების ღიმილით სტკბებოდა მთელი მისი ზეციერი სახე. თმა ტევრივით გადაშლოდა ბალიშზე და ზედ ფათალოსავით დაჰკონებოდა. მის თეთრ-ყირმიზ სხეულიდან რაღაც დამათრობელი და დამატკობელი სურნელობა მოჰქროდა. მის არსებაში იყო მთელი სამოთხე... უეცრად ამ შვენიერებამ ჩემს საზიზღარ ხელებში ხროტინი დაიწყო: მე ვახრჩობდი მას!.. საცოდავი, როგორც იქნა, გამისხლტა ხელიდან და დარეტიანებული ოთახის კუთხეში მიიმალა. მე, როგორც შეშლილი, გონება დაკარგული, გამხეცებული, გამოვვარდი გარედ და გავრბოდი, ღმერთმა იცის, საითკენ. უგზო-უკვლო ხეტიალის დროს, თურმე, კედელს დავტაკებოდი და წავქცეულიყავი. როცა გონზე მოვედი, ხელებზე სისხლი დავინახე!.. ეს, თურმე, კედლის წყალობით მომივიდა.

ასე და ამგვარად, ის სენი, რომლისაგა-
ნაც მე ჩემს თავს განკურნებულად ...
დი, ისევ მომიბრუნდა ახალის ძალით...
რომ სულით და გონებით მტანჯავდ...
ამასაც არ დამაჯერა: იქამდის მი...
რომ ყოველი ჩემი დამკლავება, ბ...
ომი დათრგუნა, მიწასთან გაასწ...
არარად გამხადა, და ჩემს უგუნურ...
ბაზე მზაკვრულად დღესასწაულობს ...
მიბრძანებს, მე თვითონ ვიქმნე მ...
პირი. ოდესმე სინიდისი მამხილებდა მ...
ცუდი ფიქრები რად გიტრიალებს თ...
თქი, ეხლა კი კინაღამ კაცის მკვლე...
მხადა! გასაკვირველიც არ იქნება, რ...
დე მოღალატეც, ქურდიც, გარყვნ...
მოთ-მოყვარე და სხვა.—სატანა, ...
მაც ჩამიგდო ხელში, თავის ბრჭყა...
აღარ მიშვებს. ერთიღა საშვალება ...
ნოდა: თუ ხალხში დავრჩებოდი, ...
თვისაც საშიში ვიქნებოდი და ჩემ...
ამიტომ გარდავწყვიტე მოვშორებ...
ზოგადოებას და მიზეზი აღარ მომ...
სისაძაგლე რამ ჩამედინა. ბრაზიან ...
საც კი ცალკე აბამენ, თუ მოსაკლ...
იმეტებენ! უბედურობა ის არის, რ...
ისეთ მამაცად ვგრძნობ ჩემს თავს, ...
გადავვარდე, ან თავი მოვიკლა!..
გემსაც კი, დედამიწის გარშემო...

პროექტი სკოლის რეორგანიზაციის ხებ.

✦ როგორც გადმოგვცეს, კავკასიის ფლო-სამეურნეო საზოგადოებას მიწად-მედების სამინისტროსაგან დაენიშნა ოდ 4000 მან. საიუბილეო გამოფენის მართავად. საზოგადოებამ-კი, როგორც ან ჩვენმა მკ-თხველებმა-ითხოვა 15 ათასი თი.

✦ ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომი-გუშინდელს სხდომაზე განხილულ იქმ-100-ზე მეტი თხოვნა ქალაქის ნიკოლა-სასწავლებლის შეგირდების მშობლებთა შესახებ, რომ შემწეობა აღმოეჩინოთ სასწავლო ფულის გარდახდისათვის; კო-აამ უარი უთხრა მთხოვნელთ იმ საბუ-, რომ ქალაქს ისედაც ბევრი ეხარჯება ლხო განათლებაზე და ამ ჟამად საქმარ ხა არა აქვსო.

✦ იმავე სხდომაზე კომისიამ უარ-ჰყო ეპა-ალური საბჭოს თხოვნა ყოველ-წლიურ წეობის აღმოჩენის შესახებ საეკლესიო-რეველო სკოლების შესანახად. კომისიამ ი იმით დაასაბუთა, რომ ქალაქს განზ-ვა აქვს საკუთარი შენობები აგოს სას-ლებელთათვის და არ შეუძლიან ისედაც რე თანხა დაასხ-უსტოს ყოველწლივ 6000 . გაცემით.

✦ 15 აპრილისათვის დანიშნულია სად-გომში, გორის მაზრის მემამულეთა ნაგობის წევრთა წლიური კრება, რო-ზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქ-ბა წარსულ წლის ანგარიში და ამა მი-ნარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა აქის მოურავს შე-ტყობინოს ვისგან და დის არის დამტკიცებული ტფილისის აქის ძველი გეგმა, შედგენილი საინჟი-ო უწყებისაგან.

✦ ტფილისის გუბერნიის საქალაქო სა-თა საკრებულომ არ დაამტკიცა ქალაქის ჭოსაგან წარდგენილი სავალდებულო და-ენილებანი ტფილისის ბაზრების შესახებ. რებულო ურჩევს ქალაქის გამგეობას— ცვალოს ეს დადგენილებანი თანახმად ილისის პოლიცმეისტერის მოსაზრებათა.

✦ დღეს, 17 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საა-ე ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის გომში მოხდება კავკასიის მებაღეთა საზო-ოების წევრთა კრება, რომელზედაც ხილული იქნება შემდეგი მოხსენებები: 1) ნ. სპეშნევისა „სუნელოვანი იისა და სხვა ვილების ავადმყოფობის შესახებ“. 2) ნ. შავროვისა—„ბელგიის მეფუტკრეობის მეფუტკრეთა ამხანაგობის შესახებ“. და მიმდინარე საქმეების განხილვა.

✦ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გე კომისიამ წარუდგინა გამგეობას დასამტკიცებლად ამას წინად მოხდენილი არჩევანი სასწავლებელთა ექიმებისა. ამასთა-ნავე კომისიამ შესცვალა ექიმების ინსტრუქ-ცია იმ აზრით, რომ ამ ექიმებს ზაფხულში, როდესაც შეგირდები დათხოვნილნი არიან, დაევალოთ საზოგადო სასანიტარო ზედა-მხედველობა ქალაქში.

✦ უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა განაჩენი კავკასიის სამხედრო ოლ-ქის სამმართველოსი, ბაშკადიკლარის პოლ-კის შტაბს-კაპიტანის კონიევის შესახებ, რომელსაც გარდაწყვეტილი ჰქონდა სამსა-ხურიდან განდევნა პოლკის უფროსის შეუ-რაცხოფისათვის; უმთავრესმა სასამართლომ უბრძანა კავკასიის სამხედრო ოლქის სა-სამართლოს ხელ-ახლად გაარჩიოს ეს საქმე სხვა წევრების თანადასწრებით.

✦ 15 მარტს სამხედრო ოლქის სასა-მართლოში ხელმეორედ გაირჩა საქმე თე-ლავის სამაზრო სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებლის სტანიშევსკისა, რო-მელსაც დაბრალდა მექრთამეობა. სასამარ-თლომ დამნაშავედ იცნო სტანიშევსკი და გარდაუწყვიტა მას ციხეში დაპატიმრება 2 წლითა და 4 თვით.

✦ პარასკევს, 16 მარტს, მოხდა შეერ-თებული კრება ტფილისის ქალაქის გამგე-ობისა, ხმოსან ტეხნიკოსებისა და ინჟინ-რების: რაგოლერისა, ბლანშის და რობისა. კრებამ განიხილა და მოიწონა ბ-ნ რობის მიერ წარდგენილი ახალი პროექტი მამა-დავითის გორაზე განზრახულ ფუნიკულე-რისა.

✦ რუსეთის ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ სთხოვა ქალაქის თავს დანიშნოს ქალაქის წარმომადგენელი ბაღოსნობის მოღვაწეთა საზოგადო კრებაზე, რომელიც შემოდგომაზე იქმნება მოწვეული.

✦ დღეს, 17 მარტს, ტფილისის სამო-სამართლო პალატაში განსახილველად დანი-შნულია საყურადღებო საქმე ალიბეგ აბა-შიძისა და კომახიძისა, რომელთაც ბრალ-დებათ წასულ წელს ქალაქ ბათუმში პოლი-ციის მოხელის ხანაიას მოკვლა და პოლი-ციის ბოქაულის სალოღაიას მოკვლის გან-ზრახვა.

✦ 11 მარტს ახალციხეში კრება ჰქონია ადგილობრივ საქველ მოქმედო საზოგადო-ებას, რომელიც ინახავს ერთ-კლასიან და ოთხ-განყოფილებიან საქალებო სკოლას. კრებას მოხსენდა საზოგადოების ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებას შემოსვლია 1900 წლის განმავლობაში 1553 მან. და 67 კ., დაუხარჯავს 1260 მან. და 45 კ. სკოლაში სწავლობს ეხლა 111 ქალი, რომელთაგან ქართველია 83, ებრაელი—10, პოლონელი—7, ბერძენი—5, სომეხი—3, რუსი—2 და მაჰმადის სარწმუნოებისა—1. სკოლას ჰყავს ორი სასკო-ლო საგნების მასწავლებელი ქალი, ერთი ხელსაქმისა, 2 სალმრთო სჯულისა და 1 გა-ლობისა.

კრებამ გამგეობის თავჯდომარედ ამოირ-ჩია ერთხმად მ. გ. გამრეკელისა, რომელ-საც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სკოლის წინაშე. გამგე კომიტეტის წევრად ამო-ირჩიეს ბ. ნადირაძე და კანდიდატებად ბ.ბ. კორინთელი და ჩარიკოვი.

✦ ვარშავიდან გვწერენ, რომ იქ მცხოვ-რები ქართველები ფულებს აგროვებენ გან-სვენებულ რაფიელ ერისთავის სახელობაზე დაარსებულ ფონდის გასაძლიერებლად.

✦ რედაქციას გადმოსცა აჯიმამუდოვმა ათი ცალი ფოტოგრაფიული სურათები რაფიელ ერისთავის დაკრძალვის პროცე-სიისა, რომელნიც შეუწირავს ფოტოგრაფ ბარკალაიას რაფიელ ერისთავის სახელობაზე დაარსებულ ფონდის გასაძლიერებლად. ეს სურათები გადაეცა წერა-კითხვის გამა-ვრცელებელ საზოგადოებას გასასყიდათ.

✦ კავკასიის წყლების ინსპექტორი პეტ-როვი ამ დღეებში ერევანში მიდის.

✦ ტფილისის „ცენტრალურ წიგნის მაღა-ზია“ შესდგომია კავკასიის შესახებ არსებულ გამოკვლევათა გამოცემას. პირველად გა-მოიცემა ბ. ვეიდენბაუმის ნაწერები.

(„ნოვ. ობოზ“)

✦ ქალაქის სასანიტარო საექიმო საბჭოს სხდომაზედ განხილულ იქმნა ქალაქის ლა-ბორატორიის გამგის ალიბეგოვის მოხსენე-ბა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწ-ყოს ტფილისის ბაზრებზედ ზედამხედვე-ლობა რძისა და ყველით ვაჭრობის საქმე-ზედ. ამავე საგნის შესახებ საბჭოს წარუდ-გინა მოხსენებანი ხმ. შახპარონიანცისა და ქალაქის ბეითალად ნამყოფის ვართანიან-ცისა; საქმის საბოლოვოდ გარდაწყვეტა გადიდო შემდეგ სხდომისათვის.

✦ ამ ჟამად ტფილისის პასტერის სად-გურზე სამკურნალოდ არის 25 კაცი სხვა-და-სხვა ცოფიან პირუტყვთაგან დაკბენილი; უმეტესი ნაწილი მათგანი ღამის თავ-შესა-ფარში არიან დაბინავებულნი, რისგანაც დიდად არიან გაჭირვებულნი.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან და-არსდა ნაფიც ვექილთა კომისია, მსგავსად ტფილისის ნაფიც ვექილთა კომისიისა. 11 მარტს არჩევანი ყოფილა და ამოურჩევიათ კომისიის თავმჯდომარედ მ. ქიქოძე, მის ამხანაგად დ. კვირკველია, წევრებად—ძ. ფალავა, ა. საყვარელიძე და დ. ხელთუფლი-შვილი, ამათ კანდიდატებად—ა. ქოჩაკიძე და ზ. მაჭავარიანი („კავკაზი“).

✦ საქმე სტუდ. კარპოვიჩისა, რომელმაც რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა საერო განათლების მინისტრი ბოგოლეპოვი, და-ნიშნულია გასარჩევად 17 მარტისთვის ბრალმდებელია პალატის პროკურორი მაქ-სიმოვიჩი და ბრამდებლის [illegible] დინგერი. დამნაშავეს [illegible] დანიშნით ნაფიცი ვექილი [illegible].

✦ ახლო მომავალში ფინანსთა სამინის-ტროს შეაქვს სახელმწიფო საბჭოში პროექ-ტი, რომლის მიხედვით ფაბრიკებთან და ქარხნებთან უნდა დაარსდეს შესაფერისი სახელოსნო სკოლები, როგორც ეს ეხლა გერმანიაში არსებობს. ამ სკოლებში სპე-ციალურად შეასწავლიან საფაბრიკო მრეწ-ველობის ყველა დარგებს.

✦ უმართებულესის სენატის ახსნით, სა-სულიერო უწყების უფლების ქვეშ მყოფ საზოგადოებათ, თავშეფართ და ამგვარ სარ-წმუნოებრივ განმანათლებელ და საქველ-მოქმედო დაწესებულებათ უფლება აქვთ შეიძინონ უძრავი ქონება უმაღლესის მთავ-რობის ნებადაურთველად.

✦ გზათა სამინისტროს გადუწყვეტია მოახ-დინოს რკინის გზაზედ მოსამსახურეთა და მათ ოჯახების აღწერა 3 წელიწადში ერთ-ხელ.

✦ რკინის გზათა ექიმების სხდომამ ისევ აღძრა შუამდგომლობა შესახებ რკინის გზის ბუფეტების იჯარით გაცემის მოსპობისა.

✦ ფინანსთა სამინისტროში ადგენენ პროექტს, რომლის მიხედვით სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკს ნება უნდა მიეცეს დაგირავებულ ქონებათა დაზღვევისა.

✦ ხუთშაბათს, 15 მარტს, ჩირზა-რამაზანოვის სახლი გაულია ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მორგე-ბულის გასაღებით და გამოუტანია ფულად 38 მან. და 58 მანეთად ღირებული ნივთები. ეჭვი ქურდო-ბაში მიიტანეს ტფილისის მცხოვრებ ამიროვზე, რო-მელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ ხუთშაბათს, 15 მარტს, პოლიციაში გამოც-ხადდა შიიტების სარწმუნოების სასულიერო გამგეო-ბის წევრი სულთან-ჰუსეინ-ბეკოვი და განაცხადა შემ-დეგი: ჩემმა მოსამსახურემ ერევნის გუბერნიის მცხო-ვრებმა მაჰმად-იბრაჰიმ-აბდულ-ოღლიმ, ჩემს შინ არ ყოფნის დროს მომპარა ერთი ოქროს ბეჭედი ალმა-სის თვლით, ღირებული 100 მანეთად და ფირუზის მზისა და ლომის მე-4 ხარისხის ორდენი და სხვა ნი-ვთები სულ 192 მანეთისა და სადღაც მიიმალაო. პოლიციამ მიიღო ზომები ქურდის აღმოსაჩენად.

✦ ამავე დღეს წყნეთის ქუჩაზე, ოლგას საბებიო ინსტიტუტთან, ნახეს მიგდებული ერთის კვირის და-ბადებული ბავშვი მამრობითი სქესისა. ბავშვი ხსენე-ბულ ინსტიტუტში გაგზავნეს.

# თეატრი

ხუთშაბათს, 15 მარტს, ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ბ-ნმა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა სათავად-აზნაურო თეატრში დასდგა უკვდა-ვი ტრაგედია ვ. შექსპირისა „ჰამლეტი“. ბევრჯელ გვინახავს ვლ. ალექსი-მესხიშვილი ჰამლეტის როლში და ყოველთვის საზოგა-

---

ვრებლად რომ ემზადება და ყოველ საგ-ლ და სანოვაგეს უხვად იმზადებს, იმა-ც კი არ ექნებოდა ისე სავსებით ყველა-რი, როგორც მე, ჩემს ქალაქს გარედ კერძოებულს სახლში. აი, ასეთს სახლში ვედი, ჩავიკეტე კარები და დარაბები, მ არავის ვენახე და არც არავინ მენახა. ერიდან მოვწყდი ქვეყანას მის მწუხარე-, მხიარულებას, მის ბრძოლას, გატაცე-. ესე იგი ყველაფერს, რაც კი ადამიანს ცოცხლებს, ამოძრავებს მთელ თვის არ-ბით ამ დიდებულს და კაცთაგან სანატ-ლს სოფელში! ეხლა ცხოვრების ტალ-ს აღარ შეუძლია, შემოყოს თავი აქ, სქელ კედლებში და მაგრად ჩაკეტილ ნჯრებში! ეს არის ცოცხლად დამარხულ სების უსახელო საფლავი! ძნელია მის მოდგენა თუ რანაირ, დაუსრულებელ ლის ბორგვაში ვიყავი რამდენიმე დღე, ნაირად მიღონდებოდა გული, როდესაც რტო ვიჯექი სადილზე და ერთად ერთი ამპის ბჟუტავი სინათლე დამცქეროდა ზე-დან; ამ ნელის ნაბიჯით დავდიოდი წინ უკან ყველა ოთახში, ან რამდენჯერმე ითხულობდი ერთს და იმავე წიგნს. საა-კოა იმის გამოთქმა, თუ რა საშინელის რგანხდით წარმოვიდგენდი ჩემს თავს, როცა გამომელვიძებოდა ღამით ამ განუწ-ყვეტელს და ბნელს, საფლავის სიჩუმეში!.

თუმცა ასეთს სამწუხარო მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ხანდისხან ამ გარემოებასაც კი შევხაროდი. აქ ვიცოდი მაინც, რომ აღარ დავემორჩილებოდი მაცდურ ოცნებას და მის ფიქრებს.

ჩემს ფიქრს და საქმეს შუა აიმართა სა-შინელი გაუვალი კედელი. რაკი საშიში განსაცდელი თავიდან მოვიშორე, ამ სი-ცოცხლით აგებულ საფლავშიც კი ბედნიე-რებას ვგრძნობდი და ვხედავდი.

ამის შემდეგ მე აღარ მეშინოდა იმ საო-ცარ და ბოროტ გულის-თქმების, რომელ-თაც მომართეს ხმალი ჩემზე. პირველად მე შევკრთი, მაგრამ ბოლოს დავმშვიდდი და სიამოვნებით ვერთობოდი კიდეც ამ საზიზ-ღარ ფიქრებში. წარმოიდგინეთ, ბრძოლა-საც კი აღარ ვუწევდი! დასასრულ დავადევგი ამ გზას: ჩემს აღელვებულს ფანტაზიაში, ნებას ვაძლევდი ჩემს თავს, მოღალატეც ვყოფილიყავი, ჯაშუშიც, ქურდიც, მცარ-ცველიც, მკვლელიც! ამ ოცნების მორევში მე თითქო გასილხლიანებულ დანასაც კი ვწმენდდი ჩემს ტანისამოსის კალთაზე და ვიყავ, ვითომ გარყვნილი გემოთ-მოყვარე და უმანკო ქალწულთ მომხიბლავი და მაც-დუნებელი! ან-კი რა უშავდა? რად უნდა განმეგრძო ჩემი ტანჯვა უმიზნო და უსარ-გებლო ბრძოლით ეხლა მაინც, როდესაც ჩემი ჰალლიცინაცია არასოდეს სიმართლედ აღარ გადაიქცეოდა? განა ბოროტების ჩა-დენის შეუძლებლობა ნებას და სიმართლეს არ მაძლევდა, განყენებულ სიხარულით მაინც დამემშვიდებინა სული და მით გამეგო ჩემი დავრდომილი და დაჩაჩანაკებული ბუნება?! ვაი, რომ კიდევ უარესს მოველოდი, თურმე. —ერთ დილას, თუ ერთ საღამოს—კარგა ხანია, დროს ველარ ვარჩევ—ვიჯექი სავარ-ძელში და შევჩერებოდი კედელს, გართული ჩემს საშინელს ფიქრებში. უეცრად მე წა-მოვვარდი და საშინლად დავიკივლე: კე-დელზე მომეჩვენა უხილავ ხელით დახატუ-ლი ჩემი ლანდი, რომელიც მისგანვე მოკ-ლულ დედაბრის სისხლში ხელებს აფათუ-რებდა და ფულებს ხვეტდა. ყველა ეს რას მოასწავებს, თუ არ წყევლას და შეჩვენე-ბას? ვინ დახატა ეს საზიზღარი სურათი, რომლის ფიქრშიაც ეხლა მე გართული ვი-ყავ და მის სიამოვნების მორევში ვცურავ-დი? რომელმა მხატვარმა გადმოშალა და ქვეყანას დაანახვა ასე უწყალოდ ჩემი სუ-ლის დუღილი?

მოჩვენება გაჰქრა, თითქო ვისმეს ღრუბ-ლით ჩამოერეცხოს! მაგრამ იმ დღიდან, როდესაც მე ჩემს ჩვეულებრივ ფიქრებში ვიყავი გართული, ყოველთვის ნათლად და-ვინახავდი იმ სურათს, გამოხატულს ან კა-რებზე, ან ჭერში. ამ საშინელებას მერე კიდე სხვა მიემატა; დახატული სურათები აღარ ქრებოდენ, ველარაფერმა ველარ წა-შალა! მე გავრბოდი ერთ ოთახიდან მეო-რეში, მაგრამ ამაო იყო ჩემი ცდა: ყოველ ოთახში ვხედავდი ათას ნაირ ერთმანეთზე უარესს სურათს, რომელიც იყო ჩემი ფიქ-რების პორტრეტი. ბნელში ლამპას რომ გავაქრობდი, უფრო ბრწყინვალედ იცქირე-ბოდნენ ეს სურათები და ზედ ან ცეცხლის ალი ტრიალებდა, ან სისხლი სჩქეფდა და ირეოდა. აი, რა გვარი სიცოცხლე მარგუ-ნა მე ბედმა ჩემს ფიქრების მუზეუმში, სა-დაც მხოლოდ ცეცხლს და სისხლს ჰქონდა ალაგი!.. გესმის ეხლა, თუ რად წაუკიდე ცეცხლი ჩემს სახლს და ამ შეგროვილ ბრბოს წინ შიგ რად გადავვარდი?

შეჩვენდეს, წყეულ იყოს ის დაუპატიჟე-ბელი სტუმარი, რომელმაც გამომგლიჯა იმ საშინელს ცეცხლს გაშმაგებული პი-რუტყვი და ნება არ მისცა მას, საუკუნოდ დანაცრებულ და გამქრალიყავი ჩემ სა-ზიზღარ ოცნებით ამ აგზნებულ ცეცხლში!.

ა. ქ-შე

დოება ალტაცებაში მოუყვანია. 15 მარტის წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ვლ. ალექსი-მესხიშვილი არა მარტო ქართულს სცენას, არამედ სხვა ერის სცენასაც დაამშვენებს. ბევრი თქმულა და დაწერილა მესხიშვილზე და დღეს ჩვენ აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ დღეს იმ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას, რომ მესხიშვილმა ძალიან შეცდომა ჩაიდინა, რომ სუსტი დასი ჩამოიყვანა ქუთაისიდან. სწორედ გვიძნელდება რაიმე ვთქვათ ლაერტისა, დედოფლისა და სხვათა ამათ ძმათა და დათა თამაშობის შესახებ. აქ ჰხედავთ სასოწარკვეთილებას ჰამლეტისას და ამავე დროს სხვების მანჭვა-გრეხას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საზოგადოებაში აქა იქ ფრუტუნი გაისმოდა იმისთანა ძლიერის სცენების დროსაც, როგორც, მაგალითად, სცენა დედასთან, გაგიჟებულის ოფელიას გამოსვლისას და ძმის შეხვედრა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ-ნი ნ. ჩხეიძე საუცხოვო იყო გიჟი ოფელიას როლში, თუმცა ჯერ კიდევ საფაროვ-აბაშიძის თამაშობას ვერ შეეჯიბრება, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩქარა დახელოვნდება, თუ შრომასა და პიესების შეგნებას არ უკლო. ვისაც კი საფაროვის ქალი ოფელიას როლში არ უნახავს, ქ-ნის ჩხეიძის თამაში უნაკლულო ეჩვენებოდა. სასურველი იქმნება, რომ ბ-ნმა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა კიდევ გვაჩვენოს ქ-ნი ნინა ჩხეიძისა სხვა უფრო მნიშვნელოვანს როლებში.

საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

## სასამართლო

გუშინ, 16 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებამ მეორედ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების აზ. კონსტანტინე ყავრიშვილისა, რომელსაც, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ბრალდებოდა ზურაბ გედევანოვის სიტყვითა და ხელით შეურაცყოფა. მოვიყვანთ მოკლედ საქმის გარემოებას: 1900 წლის 5 ოქტომბერს ტფილისის თავად-აზნაურთა მამულების მმართველ კონტორაში მისულა გედევანიშვილი გრიგოლ ყარანგოზიშვილთან ერთად, აქ მას დახვედრია ყავრიშვილიც, რომელსაც ჩამოუგდია ლაპარაკი სათავად-აზნაურო თეატრის ელექტრონით განათებისა და „უნიონისა“ ფირმასთან დადებულ ხელშეკრულობის უვარგისობის შესახებ. ლაპარაკის დროს აღძრულა კითხვა, თუ ვის უნდა გადახდეს ის ზარალი, რომელიც მოუვიდა თავად-აზნაურობის მამულს, ხელშეკრულობის წესიერად შეუდგენლობისა გამო; ბ. ყავრიშვილს სხვათა-შორის უთქვამს: ჩვენ (ე. ი. სათავად-აზნაურო მამულის გამგე კომისიას) გვირევია ერთი წევრი ქურდი და მექრთამე, რომლის წყალობითაც ჩვენ ეს საქმე მოგვიხდაო; ამაზედ გედევანიშვილს უთქვამს—ქურდი და მექრთამე შენა ხარ, რომ ჩემის ძმისწულების მამული შესჭამე და გააქრე, როცა მათი მზრუნველი იყავიო; შემდეგ ორივემ დაუწყეს ერთმანეთს ლანძღვა-გინება და საქმე იმ ზომამდე მისულა, რომ შეტაკებულან კიდეც. შუაში ჩარევია გ. ყარანგოზიშვილი და გაუშველებია. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაუწყიათ ერთმანეთის გინება, ისევ მივარდნილან ერთმანეთს და ყავრიშვილს ისე მაგრად შემოუკრავს ყბაში გედევანიშვილისათვის, რომ მას იქვე ჩაუკეცია. გედევანიშვილმა ამის გამო საჩივარი აღძრა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელმაც, განიხილა რა ეს საქმე წასულ წლის 4 ნოემბერს, დამნაშავედ იცნო ყავრიშვილი გედევანიშვილის ხელით შეურაცხების მიყენებაში და გარდაუწყვიტა ერთის თვით ციხეში დაპატიმრება. მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი განასაჩივრეს ორივე მხარემ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში, სადაც ბრალდებულმა ითხოვა ფიც ქვეშ მოწმეების ხელმეორედ გამოკითხვა და გედევანიშვილმა ყავრიშვილის უფრო მეტად დასჯა. ოლქის სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა მომჩივან მოპასუხის შუამდგომლობა, კანონიერად იცნო მომრიგებელ მოსამართლის ამ საქმის შესახებ გარდაწყვეტილება და დაამტკიცა იგი. კ. ყავრიშვილი არ დასთანხმდა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებას და საქმე კასაციურის წესით გადაიტანა ტფილისის სასამართლო პალატაში, რომელმაც გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და დაავალა მასვე სხვა წევრების თანადასწრებით ხელმეორედ განეხილა საქმე და ფიცქვეშ ეკითხა მოწმეებისათვის. ოლქის სასამართლომ დაიბარა მოწმები გ. ყარანგოზიშვილი, თავ. ქ. ტერხეულიძე და გრიგოლ კორინთელი, რომელთაც განაცხადეს, რომ ორივენი ერთმანეთს აგინებდნენ, გედევანიშვილი გამოიწვია ყავრიშვილის შენიშვნამ, შემდეგ ერთმანერთს დაეტაკნენ და ყავრიშვილმა გაარტყა გედევანიშვილსაო და სხვ. საქმის გამოძიების შემდეგ ყავრიშვილის ვექილმა შანშიევმა ითხოვა თავის კლიენტის გამართლება, რადგანაც იგი იძულებული იყო ზემოხსენებულად მოქცეულიყო, მით უმეტეს, რომ გედევანიშვილმა, როგორც საქმის გარემოებიდან სჩანს, სცემით შეუტია ყავრიშვილსაო. თვით მომჩივანმა გედევანიშვილმა სთქვა შემდეგი: მე არც წლოვანება და არც საზოგადოებაში მდგომარეობა ნებას არ მაძლევს ტყუილი ვსთქვათ და მოუყვა სასამართლოს საქმის გარემოებას და დასასრულ ითხოვა სასჯელის მომატება ყავრიშვილისათვის. ოლქის სასამართლომ ნაშუადღევის სამის საათის ნახევარზე გამოაცხადა თვისი გარდაწყვეტილება, რომლითაც განთავისუფლებულ იქმნა კონსტანტინე ყავრიშვილი სასჯელისაგან.

## საღამოს დეპეშები

15 მარტი.

**პეტერბურგი**. ხელმწიფე იმპერატორმა სასტიკი შენიშვნა გამოუცხადა სახელმწიფო საბჭოს წევრს გენერალ-ლეიტენანტს თავ. ვიაზემსკის ქუჩებში უწესოებათა მოსპობის დროს პოლიციის მოქმედებაში ჩარევისათვის.

**ლონდონი**. ლორდთა პალატა. სპენსერის სხვა და სხვა შეკითხვაზედ ჩინეთში მდგომარეობის შესახებ, ლანსდოუნი უპასუხებს, რომ რამდენადაც მან იცის, იქ არავითარი ჯარის ახალი მოძრაობა არა სწარმოებს და არც მსჯელობა აქვთ ამის შესახებ. მთავრობას ჯერ არ შეუძლიან იმის თქმა, რომ ჩინეთის მთავრობა მზად იყოს სახელმწიფოების საერთო მოთხოვნილებანი შეასრულოს და რომ შეიძლებოდეს ჩინეთიდან ჯარების გამოყვანა. მთავრობა ბეჯითად სცდილობს მოლაპარაკების დაჩქარებას და იმედოვნებს, რომ მალე შესაძლებელი გახდება ჯარების წამოყვანა ან მათი შემცირება მაინც. მოლაპარაკება თუმცა მეტად ნელა მიდის წინ, მაგრამ მთავრობას შეუძლია ინუგეშოს იმით, რომ ზოგიერთ საკითხების შესახებ სახელმწიფოებს შორის თანხმობა სუფევს. ეს პოლიტიკური საკითხები შემდეგია: თუმცა ვეომებით ჩინეთს, მაგრამ არა გვაქვს სურვილი ქვეყნების შეძენისა, აღვიარებთ აწ არსებულს ხელშეკრულებათა, გვსურს, რომ ჩინეთში ვაჭრობა ყოველ სახელმწიფოს თავისუფლად შეეძლოს და თუ ზოგიერთ სახელმწიფოებს რაიმე უპირატესობა მიეცემა, მაშინ ამისთანავე უპირატესობა უნდა მიეცეს დანარჩენ სახელმწიფოებსაც. შემდეგ ლანსდოუნი დაწვრილებით მოახსენებს პალატას მოლაპარაკების შესახებ და აცნობებს, რომ ელჩის სატოუს მთავრობამ მიწერილობა გაუგზავნა, რათა მან ზომიერი მოთხოვნები წარუდგინოს ჩინეთს. რაც შეეხება საელჩოს დამცველ რაზმსა, მთავრობას სულაც არა აქვს სურვილი პეკინი ციხედ გადააქციოს. მთავრობა ცდილობს მხოლოდ იმას, რომ საელჩოს რაზმი საკმაო იყოს საელჩოების დასაცველად. შესახებ საზღაურისა მთავრობა იმ აზრისაა, რომ უნდა მოითხოვოს მხოლოდ ეხლანდელ ომზე გაწეული ხარჯი და უარ ჰყოს კერძო პირების მოთხოვნანი. მთავრობის პოლიტიკა ელტვის, რომ ჩინეთის არსებობა დაიცვას და მძიმე ტვირთი არ დააკისროს. საზღაურის გადასახდელ წყაროთ, სხვათა შორის, იქნება სადამოჟნო შემოსავალი. მთავრობა ჰფიქრობს, რომ ეხლანდელი სადამოჟნო ბაჟი შეიძლება გამოცვლილ იქნეს და დაინიშნოს, რომ ყველა საქონლის ფასზე 5% ბაჟი აიღონ. მთავრობა ჰფიქრობს, რომ შეიძლება ბაჟი დაედოს იმ ზოგიერთს საქონელს, რომელსაც ეხლა ბაჟი არ ადევს. მთავრობა გრძნობს, რომ ძნელია ერთბაშად ბაჟის გადიდება, საჭიროა ამ საქმეში დიდი სიფრთხილე. თუ ბაჟს ძალიან გავადიდებთ, შეიძლება რამდენიმე მეტი მილიონი საზღაური მივიღოთ, მაგრამ ამით ჩვენ ინგლისის ვაჭრობას ვავნებთ. მთავრობას არ ჰსურს ისარგებლოს შემთხვევით და ჩინეთს შინაური რეფორმები მოახდენინოს. „ეს ჩვენი საქმე არ არის—განაგრძო მინისტრმა,—მაგრამ იმედს მაინც არა ვკარგავთ, რომ რეფორმებს მოვესწრობით“.

შემდეგ ლანსდოუნმა უპასუხა სპენსერს ინგლის-გერმანიის შეთანხმების შესახებ. ლანსდოუნმა წაიკითხა ამ შეთანხმების პირველი მუხლი და შენიშნა, რომ ეს მუხლი შეეხება მხოლოდ ჩინეთის ნავთ-სადგურებს, რომლებიც ზღვის და მდინარეების ნაპირებზე მდებარეობენ და ჩინეთის იმ ადგილებს, სადაც ორივე სახელმწიფოებს გავლენა აქვს. გავლენა ძალიან გამოურკვეველი მცნებაა, შენიშნა მინისტრმა. მან ცნობები შეკრიბა შეთანხმების შესახებ, როცა თავიდანვე მოლაპარაკება სწარმოებდა და მას აცნობეს, რომ გერმანიის მთავრობის აზრით, მანჯურია არ არის ის ადგილი, სადაც ინგლისსა და გერმანიას შეუძლიანთ გავლენა იქონიონ. ეს მუხლი არაა დიდი ყურადღების ღირსი, რადგანაც შეთანხმება სრულებით არ უარჰყოფს სახელმწიფოების უფლებას ისარგებლონ ჩინეთის ნავთსადგურებით, რაიცა დადგენილია ტიანძინის ხელშეკრულობით. მანჯურიაში მხოლოდ ორი ნავთსადგურია: ნიუჩუანი და დალნი. რუსეთმა გადაწყვეტით დაარწმუნა ინგლისი, რომ ამ მეორე ნავთსადგურს თავისუფლად დასტოვებს, რაც შეეხება პირველს ნავთსადგურს, ეჭვი არაა, რომ ის იქნება მხოლოდ ღია ნავთსადგურად ყველა სახელმწიფოთათვის.

**ბერლინი**. იმპერატორ ალექსანდრეს პოლკის ყაზარმებში იმპერატორმა აიღო რა ფიალი, რომელზედაც მედალიონებად გამოყვანილია სურათები, შეჰნიშნა, რომ პრუსიის მეფეთა სურათები იცვლებიან მასზედ რუსეთის იმპერატორების სურათებით, რაც ემბლემაა ორივე სამეფო სახლობათა ტრადიციონალური დამოკიდებულებისა. ეს ურთიერთობანი, რამდენადაც მხოლოდ მისგან იქნება დამოკიდებული, ყოველთვის ძალაში იქნებიან. იმპერატორმა პოლკის აფიცრებთა სადღეგრძელო თვითონ დაამთავრა.

**პარიზი**. პეტერბურგიდან სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რათა დაემთავრებინათ სადავო კითხვა, რომელიც ტიანძინში აღიძრა, რუსეთისა და ინგლისის ჯარის უფროსები შეთანხმდნენ ამ რიგად: გენერალი ბარროუ, ბრიტანიის ჯარის უფროსი, რომელიც გენერალ გეზლის თანამდებობას ასრულებს, აცხადებს: 1) რუსეთის დროშათა შეურაცხყოფა არ ჰქონია განზრახვად ბრიტანიის
მთავრობას და განდევნა რუს[…]
რო ნიშნებისა, რომელზედაც რუსე[…]
ვენა, მოხდა ბრიტანელთა ჯარის უფ[…]
გაუგებლად; 2) […]
ები შეჩერებულ იქმნებიან მანამდე, […]
ორივე სახელმწიფოთა შორის შეთანხმე[…]
ბის შესახებ საკითხი არ გადაწყდებ[…]
არ მოხდება ურთი-ერთ შორის შეთან[…]
3) ინგლისის ყარაულები უკანვე წაყ[…]
იქმნებიან. გენერალმა ვაგაკმა განა[…]
რომ რუსების ყარაულებიც იქმნებიან[…]
რეთვე მოშორებულნი, როგორც […]
ინგლისის სადარაჯო ჯარი. ყარაუ[…]
ლაბრუნების შესახებ შეთანხმდნენ ის[…]
ორივემხარეთა ყარაულები დამწკრივ[…]
თავიანთ კარვების წინ; დარაჯები […]
თავიანთ ადგილებზედ, ორივე მხარე […]
მანეთს სამხედრო სალამს მისცემენ […]
შემდეგ ინგლისელი აფიცერი უბრ[…]
„მთელი ბატალიონი მარცხნივ მიბრუნ[…]
ამგვარსავე ბრძანებას გასცემს რუსი[…]
ცერიც; შემდეგ ინგლისელი აფ[…]
უბრძანებს, რომ ჯარები წავიდნენ; […]
იქმს რუსის აფიცერიც.

**ბერლინი**. ზოგიერთმა კონსერვატ[…]
გაზეთებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ […]
სადამოჟნო ტარიფის შემოღება გამო[…]
სამინისტროს გამოცვლას და იქნება კ[…]
საცაო. ამისთანა აზრების შესახებ […]
დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგი“ ამბობს […]
რიის კანცლერს ფიქრადაც არ ექვს, […]
იმპერიის მომავალი და მაღალ მნიშვნ[…]
ვანი საკითხები სადამოჟნო ტარიფის […]
ხებ რამენაირად დაუკავშიროს იმ ნა[…]
რომელიც მოჰყვება პრუსიის სეიმის […]
თებს არხის გაყვანის შესახებ. ცალკე […]
ნისტროებსა საერთო შრომის შემდეგ […]
პერიო კანცლერის ხელმძღვანელ[…]
მიეცათ ისეთი რწმუნება ახალი ტა[…]
შემოღების შესახებ, რომ მოახლოვე[…]
ის დრო, როცა პრუსიის სამინისტრო[…]
ველე იქნება ეს ტარიფი დაამტკიცოს […]
შემდეგაც გერმანიის სახელმწიფოთა […]
რის საბჭო თავის გარდაწყვეტილებას […]
აძგენს.

**ბელგრადი**. მეფის სასახლეში […]
თათბირი ახალი კონსტიტუციის შე[…]
მეფე და ყველა დასების ხელმძღვანე[…]
ხასვებით შეთანხმდნენ. ახალი კონს[…]
ცია დამცველი იქმნება მეტად ლი[…]
ლურ საფუძველზე და უზრუნველ[…]
არჩევნებისა და ბეჭდვითი სიტყვის სრ[…]
თავისუფლებას, კრების და ასოციაც[…]
უფლებას. ახალს სენატში 48 კაცი იქ[…]

**სტეინსბურგი**. კრიცინგერმა, შით[…]
და ვანრენენმა შეაერთეს თავიანთი ჯა[…]
და გაემართნენ იმ გზით, რომელიც […]
ტერსტატიდან ორანჟეს მდინარესკენ მ[…]

რედაქტორი ალ. ზუბინაძე. გამომცემელი ალ. ჯაბა[…]

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობ[…]**

თანახმად მრეწველობის საავადმყ[…]
დადგენილებათა მე-13 მუხლისა ქ. […]
ლისში აცხადებს ეტლებისა და დრო[…]
მეპატრონეთ, რომ დანიშნულია არჩ[…]
ორივე საზოგადოების სტაროსტებისა […]
კანდიდატებისა ქალაქის გამგეობის საღ[…]
ში, მეეტლეთა საზოგადოებისა ხუთშაბ[…]
15 მარტს, ნაშუადღევის სამს საათ[…]
მედროგეთა—18 მარტს, კვირას, დ[…]
10 საათზე და ამიტომ სთხოვს ყველა […]
მობრძანდნენ გამგეობაში აღნიშნ[…]
დროს თავიანთ ნიშნებით და საავადმყ[…]
დადგენილებათა წიგნაკებით. (3—6)